აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება - 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 70%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 2%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 12.50%;
სამედიცინო აპარატურა	- 12.50%
საოფისე აღჭურვილობა	- 20%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითიკორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.4. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული

პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შევა ძალაში.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა) არის 15%.

2.5. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.6. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2306 ლარი; 1 EUR=3.8357 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
ფული სალაროში	2 317	27 858	9 189
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 962 083	714 564	592 239
	1 964 401	742 422	601 427

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	20 654	-	-
სავაჭრო მოთხოვნები სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ	2 945	632 260	880 730
სავაჭრო მოთხოვნები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან	55 772	-	-
სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ	422 634	184 290	-
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(82 333)	(82 333)	(32 087)
	419 672	734 218	848 643

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
სამედიცინო საქმიანობაზე გამოყენებული მასალები	575 678	583 989	565 001
დასამონტაჟებელი მარაგები	1 464 630	2 144 930	716 161
სხვა მარაგები	76 415	75 123	3 217
	2 116 723	2 804 043	1 284 380

3.4. საგადასახადო აქტივები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	442 847	(142 818)	(53 267)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(403 569)	(1 890 537)	(923 739)
	39 277	(2 033 355)	(977 006)

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სხვა (არამატ. აქტ.)	სულ	
(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	855 000	13 275 971	1 820 878	19 811	2 817 428	400 629	352 097	-	11 420	19 553 234
დამატება	-	2 589 316	-	-	103 364	506 796	106 337	43 205	-	3 349 017
(შემცირება)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	855 000	15 865 287	1 820 878	19 811	2 920 792	907 425	458 434	43 205	11 420	22 902 251
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 31.12.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	-	-	475 612	8 550	1 407 105	129 063	138 275	-	5 507	2 164 113
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	326 153	-	228 690	120 233	50 100	-	401	725 577
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	801 765	8 550	1 635 795	249 296	188 375	-	5 908	2 889 690
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით										
855 000	15 865 287	1 019 113	11 260	1 284 996	658 129	270 059	43 205	5 512	20 012 561	

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სხვა (არამატ. აქტ.)	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 01.01.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	855 000	7 445 345	1 820 878	19 811	2 740 252	312 441	306 852	-	11 420	13 511 998
დამატება (შემცირება)	-	5 830 627	-	-	77 176	88 188	45 246	-	-	6 041 236
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	855 000	13 275 971	1 820 878	19 811	2 817 428	400 629	352 097	-	11 420	19 553 234
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 01.01.2020-ის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	-	-	439 194	8 550	1 120 613	99 211	98 623	-	4 453	1 770 644
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	36 418	-	286 492	29 852	39 653	-	1 055	393 469
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა და ამორტიზაცია ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	-	-	475 612	8 550	1 407 105	129 063	138 275	-	5 507	2 164 113
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	855 000	13 275 971	1 345 266	11 260	1 410 323	271 566	213 822	-	5 913	17 389 121

31.12.2021-ის მდგომარეობით კომპანიის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქ. №165-ში და რომლის საბალანსო ღირებულება 31.12.2021 წ.-ის მდგომარეობით არის 502,644 ლარი, დაგირავებული იყო სს „თიბისი ბანკში“ გახსნილი საკრედიტო ხაზის იპოთეკის ხელშეკრულებით №1231232773104 განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

31.12.2021-ის მდგომარეობით კომპანიის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №21-ში და რომლის საბალანსო ღირებულება 31.12.2021 წ.-ის მდგომარეობით არის 15,573,167 ლარი, დაგირავებული იყო სს „თიბისი ბანკში“ გახსნილი საკრედიტო ხაზის იპოთეკის ხელშეკრულებით №123123773092 განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამავე უძრავ ქონებას ადევს ვალდებულება სახელმწიფოს სასარგებლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების და საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შესასრულებლად.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
რეზიდენტი კომპანიები	425 190	366 741	388 712
რეზიდენტი ფიზიკური პირები	6 086	-	-
	431 275	366 741	388 712

3.7. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	1 373 546	1 455 013	1 028 063
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	129 838	167 078	23 247
	1 503 384	1 622 091	1 051 311

3.8. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
მიღებული ავანსები	4 686	50	175
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	224 337	274 766	310 720
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	81	-	-
	229 105	274 816	310 895

3.9. გრძელვადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)	01 იანვარი, 2020 წ. (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (ძირი)	11 715 774	15 029 184	10 044 712
	11 715 774	15 029 184	10 044 712

3.10. საწესდებო კაპიტალი:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრის“ წესდებით განსაზღვრული კაპიტალი იყო ნული ლარი (2020 წელს - ასევე 0 ლარი).

3.11. ამონაგები:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
ამონაგები სამედიცინო საქმიანობიდან	13 595 706	10 550 133
სხვა ამონაგები	10 762	2 693
	13 606 468	10 552 826

3.12. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
პირდაპირი ხელფასი	3 646 455	3 044 973
გახარებული მასალების თვითღირებულება	2 974 025	2 449 289
სუროგატების ხარჯები	156 606	98 601
ანალიზის ხარჯები	291 534	349 578
სხვა თვითღირებულების ხარჯი	251 136	373 024
	7 319 756	6 315 464

3.13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
თანამშრომელთა ანაზღაურება	1 378 267	1 145 064
კომუნიკაციის ხარჯები	26 896	26 041
საწვავის ხარჯები	11 302	8 210
იჯარის ხარჯები	35 000	213 693
დაცვის ხარჯები	10 379	-
აუდიტის ხარჯები	27 337	-
საკონსულტაციო ხარჯი	62 090	-
საბანკო ხარჯები	74 562	46 543
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	16 800	-
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია	43 623	7 389
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	162 327	145 916
	1 848 581	1 592 855

3.14. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	50 246
საგადასახადო ხარჯები	7 868	108 527
კომუნალური ხარჯები	392 716	194 930
ძირითადი საშუალებების ცვეთა	725 577	393 469
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
	1 126 160	747 172

3.15. ფინანსური ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	675 629	694 267
	675 629	694 267

3.16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებების და მოთხოვნების ჩამოწერა	6 615	680
შეღვათი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო	30 832	49 260
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10 951	7 107
	48 398	57 047

3.17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი (გადაანგარიშებული)
ჯარიმები და საურავები	15 852	52 408
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1 233	15
	17 085	52 423

3.18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	16 484 197	1 428 090	2 022 610	55 823	-	-	13 089 320
დივიდენდი	-	210 526	-	-	210 526	-	-
სულ:	16 484 197	1 638 616	2 022 610	55 823	210 526	-	13 089 320

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	167 078	712 870	675 629	-	129 838
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-	-
სულ:	167 078	712 870	675 629	-	129 838

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 01.01.2020-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუროს სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	11 072 775	825 128	-	3 012 207	-	3 224 343	16 484 197
დივიდენდი	-	105 263	-	-	105 263	-	-
სულ:	11 072 775	930 391	-	3 012 207	105 263	3 224 343	16 484 197

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 01.01.2020-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	8 878	537 981	694 267	1 914	167 078
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	14 369	14 369	-	-	-
სულ:	23 247	552 350	694 267	1 914	167 078

3.19. ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

კომპანიამ 2021 წლის 1 აგვისტოს წარადგინა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება, თუმცა შემდგომ მოახდინა ცვლილებების შეტანა აღნიშნული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამ მიზეზით, კომპანია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს საანგარიშო წლის წინა წლის (2020 წლის) შესადარის ინფორმაციასთან და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან ერთად. ცვლილებები

შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს, აღნიშნული ცვლილებების გავლენას შესაბამის მუხლზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
01.01.2020			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	602 037	(610)	601 427
სავაჭრო მოთხოვნები	848 644	(1)	848 643
მარაგები	1 284 589	(209)	1 284 380
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	4 986 760	(9 577)	4 977 183
საგადასახადო აქტივები	1 108 167	(131 161)	977 006
სხვა მიმდინარე აქტივები	-	10 273	10 273
მოკლევადიანი აქტივები სულ:	8 830 197	(131 285)	8 698 912
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	12 198 440	(457 086)	11 741 354
ინვესტიციები	23 964	(23 964)	-
გრძელვადიანი აქტივები სულ:	12 222 404	(481 050)	11 741 354
აქტივები სულ:	21 052 601	(612 335)	20 440 266
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	404 302	(15 590)	388 712
მოკლევადიანი სესხები	1 049 831	1 480	1 051 311
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	14 400	14 400
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	310 720	175	310 895
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	1 764 853	465	1 765 318
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	10 044 712	(0)	10 044 712
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	10 044 712	(0)	10 044 712
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	9 243 036	(612 799)	8 630 237
კაპიტალი სულ:	9 243 036	(612 799)	8 630 237
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	21 052 601	(612 335)	20 440 266

1 ლარის სიზუსტით 31.12.2020	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	742 422	(0)	742 422
სავაჭრო მოთხოვნები	798 154	(63 936)	734 218
მარაგები	2 804 197	(154)	2 804 043
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	99 283	(31 357)	67 926
საგადასახადო აქტივები	2 112 103	(78 748)	2 033 355
სხვა მიმდინარე აქტივები	-	27 730	27 730
მოკლევადიანი აქტივები სულ:	6 556 159	(146 466)	6 409 693
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	18 274 542	(885 421)	17 389 121
ინვესტიციები	23 964	(23 964)	-
გრძელვადიანი აქტივები სულ:	18 298 506	(909 385)	17 389 121
აქტივები სულ:	24 854 665	(1 055 851)	23 798 814
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	384 438	(17 697)	366 741
მოკლევადიანი სესხები	1 478 141	143 950	1 622 091
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	14 000	14 000
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	274 781	35	274 816
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	2 137 360	140 288	2 277 648
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	15 029 184	-	15 029 184
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	15 029 184	-	15 029 184
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	7 688 121	(1 196 139)	6 491 982
კაპიტალი სულ:	7 688 121	(1 196 139)	6 491 982
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	24 854 665	(1 055 851)	23 798 814

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით 2020 წელი	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
ამონაგები	10 550 133	2 693	10 552 826
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(2 458 092)	(3 857 372)	(6 315 464)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საქმიანობიდან	8 092 041	(3 854 679)	4 237 362
მიწოდების ხარჯი	-	(28 420)	(28 420)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5 369 048)	3 776 193	(1 592 855)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(820 237)	73 065	(747 172)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	(6 189 285)	3 820 838	(2 368 447)
ფინანსური ხარჯი	(222 718)	(471 549)	(694 267)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(3 194 297)	610	(3 193 687)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	83 183	(26 136)	57 047
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	(52 423)	(52 423)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1 431 076)	(583 339)	(2 014 415)
მოგების გადასახადი	(18 576)	0	(18 576)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(1 449 652)	(583 339)	(2 032 991)
წლის სრული შემოსავალი	(1 449 652)	(583 339)	(2 032 991)

3.20. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.21. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალბადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარისა მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31 დეკემბერი, 2021 წ.

	EUR	USD	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81	634 897	-	634 978
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-	-
აქტივები სულ:	81	634 897	-	634 978
სავაჭრო ვალდებულებები	-	115	-	115
მოკლევადიანი სესხები	1 503 384	-	-	1 503 384
გრძელვადიანი სესხები	11 715 774	-	-	11 715 774
ვალდებულებები სულ:	13 219 158	115	-	13 219 272
ნეტო შედეგი	(13 219 077)	634 782		(12 584 295)
Euro (10% ცვლილება)	(1 321 908)			
USD (10% ცვლილება)	63 478			
GPG (10% ცვლილება)	-			

31 დეკემბერი, 2020 წ.

	EUR	USD	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32 359	221 845	23 434	277 637
სავაჭრო მოთხოვნები	-	562 808	-	562 808
აქტივები სულ:	32 359	784 653	23 434	840 445
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	1 622 091	-	-	1 622 091
გრძელვადიანი სესხები	15 029 184	-	-	15 029 184
ვალდებულებები სულ:	16 651 275	-	-	16 651 275
ნეტო შედეგი	(16 618 917)	784 653	23 434	(15 810 830)
Euro (10% ცვლილება)	(1 661 892)			
USD (10% ცვლილება)	78 465			
GPG (10% ცვლილება)	2 343			

3.22. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
საპროცენტო ხარჯები	-	-
იჯარა	35 000	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	718 837	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	10 201	-
გაცემული დივიდენდი	210 526	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
დებიტორული დავალიანება	-	800
იჯარა	2 373	-

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები
განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
საპროცენტო ხარჯები	718	-
იჯარა	211 000	-
ხელფასები და სხვა სარგებელი	576 714	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	16 250	-
გაცემული დივიდენდი	105 263	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
დებიტორული დავალიანება	-	-
იჯარა	-	-

3.23. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საერთო სასამართლოებში ჰქონდა 3 (სამი) მიმდინარე სასამართლო დავა, რომლებიც არ არის დამთავრებული 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს:

მოსარჩელე სს „თელასი“, მოპასუხე შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ – დავის საგანს წარმოადგენს ელექტროგამანაწილებელ ქსელზე დაერთების საფასურის ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნა კომპანიის წინაშე არის ის, რომ მას სს „თელასის“ სასარგებლოდ დაეკისროს 47000 ლარის გადახდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მეორე დავა, სადაც მოსარჩელე არის შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“, ხოლო მოპასუხე სს „თელასი“. დავის საგანს წარმოადგენს ახალ აბონენტად მიერთების საფასურის განულება. სასარჩელო მოთხოვნა არის ის, რომ სს „თელასის“ მხრიდან ქსელზე ახალ აბონენტად მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის ორგზის ვადის გადაცილების გამო, შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრს“ გაუნუღდეს მიერთების საფასური და მის მიერ წინასწარ გადახდილი ღირებულების 50%, რომელიც შეადგენს 47000 ლარს, დაუბრუნდეს უკან.

მესამე დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილობა, სადაც მოპასუხე არის „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“. სასარჩელო მოთხოვნა არის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად 2016 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა.

კომპანია მოელის, რომ სამივე დავა დასრულდება მის სასარგებლოდ.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონავირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. 2022 წლის ივნისიდან პრაქტიკულად, ყველა შეზღუდვა და რეგულაცია, გარდა სამედიცინო დაწესებულებებში პირბადის ტარებისა, გაუქმებულია.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები. თუმცა მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედა არსებულმა გარემოებამ და კომპანიამ უწყვეტ რეჟიმში გააგრძელა ფუნქციონირება. ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგები კომპანიისთვის არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ხასიათის.

3.24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის 14 ივნისამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 14 ივნისის კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს

2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202462708) დაარსდა 2009 წლის 21 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით.

კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორებს დაარსების დღიდან წარმოადგენენ: ფიზიკური პირი ნატალია ხონელიძე (პ/ნ 01017006056) – 50%-იანი წილის მფლობელი და ფიზიკური პირი გია ცაგარეიშვილი (პ/ნ 01008011065) – 50%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორი დაარსების დღიდან 2014 წლის 30 ივლისამდე იყო ნატალია ხონელიძე; 2014 წლის 30 ივლისიდან 2019 წლის 06 ნოემბრამდე გია ცაგარეიშვილი, 2019 წლის 06 ნოემბრიდან 2020 წლის 09 ივლისამდე გია ცაგარეიშვილი და ზაზა სოფრომაძე (პ/ნ 60001007771), 2020 წლის 09 ივლისიდან 2023 წლის 03 მაისამდე გია ცაგარეიშვილი და ნატალია ხონელიძე, ხოლო 2023 წლის 03 მაისიდან დღემდე კომპანიის დირექტორს წარმოადგენს კახა ბაბუნაშვილი (პ/ნ 59001024299).

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. იგი იმართება დირექტორის მიერ, რომელიც არის კომპანიის ერთპიროვნული მმართველი.

კომპანიას აქვს ფილიალი ქ.ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქ. N165-ში. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2020 წლის 22 დეკემბერს.

კომპანიის მიზანია მოგების მიღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს-ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა და სხვა საავადმყოფოს საქმიანობის განხორციელება.

კომპანიის სავაჭრო ნიშნებია: „კლინიკა ინ ვიტრო“, „leadermed clinic“.

- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ – მრავალპროფილური კლინიკაა, სადაც პაციენტებს მომსახურებას უწევენ უმაღლესი რანგის სპეციალისტები. კლინიკა აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრითა და თანამედროვე

სტანდარტების აპარატურით. კლინიკა ლიდერმედი არის ადგილი სამედიცინო სფეროში, სადაც შესაძლებელია უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიღება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება კლინიკური ანალიზების წამყვან კლინიკების როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მის გარეთ გადაგზავნა.

- კლინიკა 6-სართულიანია და გათვლილია სტანდარტულად 48 საწოლზე.
- კლინიკა სამედიცინო მომსახურებას უწევს მომხმარებლებს რომლებსაც სჭირდებათ სტაციონარული და ამბულატორიული სერვისები. მას გააჩნია სერვისები შემდეგი მიმართულებით: გინეკოლოგია, ქირურგია, რეპროდუქტოლოგია, ოფთალმოლოგია, ამბულატორია, დიაგნოსტიკა, ლაბორატორია.
- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, კლინიკა სთავაზობს პაციენტებს განსხვავებულ, თანამედროვე კონცეფციას: კვალიფიციური სამედიცინო დახმარება საუკეთესო მომსახურებასთან ერთად.
- შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს მიზანია შეამციროს იმ პაციენტების ნაკადი, რომლებიც მიდიან სამკურნალოდ საზღვარგარეთ და გაუწიოს მათ ანალოგიური ხარისხის სამედიცინო მომსახურება თბილისში ქართველ და უცხოელ ექიმებთან ერთად. კლინიკას დაგეგმილი აქვს გახდეს ამიერკავკასიაში საუკეთესო რეგიონალური კლინიკა და მოემსახუროს მოქალაქეებს მთელი მსოფლიოდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით.
- კომპანიის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.
- დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით პერიოდულ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები).
- კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. კომპანიას ჰყავს დაცვის სამსახური 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით, რომელიც აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს როგორც ფიზიკურად, ასევე სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით.
- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.
- კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბუღალტრო პროგრამების „ორისისა“ და საოპერაციო პროგრამა „სოფტმედიკის“ გამოყენებით.
- 2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 0 ლარს.

- კომპანიის ამონაგებმა 2020 წელს 10 552 826 ლარი, ხოლო 2021 წელს - 13 606 468 ლარი შეადგინა; რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამონაგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 29%-ით.
- კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი სს „თიბისი ბანკისგან“ 2019 წელს, ბოხუას N21-ში განსახორციელებელი კლინიკის მშენებლობისა და აღჭურვისთვის.
- ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2020 წელს გადახდილი აქვს 1 098 252 ლარი, ხოლო 2021 წელს 1 717 922 ლარი (ზრდა 56%).
- რისკების მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2023 წლის 14 ივნისს.

დირექტორი

----- კახა ბაბუნიშვილი

ფინანსური დირექტორი

----- ირაკლი გვაზავა

- რისკების მზრივ, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დეველუაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი“-ს დირექტორისა და ფინანსური დირექტორის მიერ 2023 წლის 14 ივნისს.

დირექტორი

 კაბა ბაბუნიშვილი

ფინანსური დირექტორი

 ირაკლი გვაზავა

